იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 134
წელიწადი-მეორე
1913
სამშაბათი, 3 სექტემბერი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

იმერეთი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ“**

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

30 აგვისტოს ქ. ქუთაისში მძიმე და ხანგძლივ ავათმყოფობას შემდეგ გადაიცვალა პრაპ.

თ-დი შამშე (იგივე დიმიტრი) ივანეს-ძე მხეიძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებით გულდათუთქულნი ძმა თავ. ვლადიმერ (იგივე ბარდღა) ივანეს-ძე მხეიძე და კნეინა ალექსანდრა (იგივე გინატრე) ივანეს ასული ჩიჩუასი, რძალი ოლგა ნიკოლოზის ასული მხეიძისა და ძმისწულნი სოფიო ჯაყელისა და თ-დი მხეიძის ასული ნინო.

დასაფლავება დანიშნულია ახალსენაკში, სამშაბათს 3 სეკტემბერს, ნაწირვებს, წმ. გიორგის ეკლესიაზე პანაშვიდი ყოველ დღე.

თ. ა. მთავრიშვილის
წიგნის მაღაზია

ყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

იდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

ელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

ფასები საკმაოდ დაკლებულია.

რველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო ვთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.**

ახალი წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

უდიდესი
წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ამ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ამ მაღაზიას სურს შეამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაებს, სასწავლებლებსა და წიგნსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგ, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ამ მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის ყოფილი ნაგოპის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოება ყოველნაირი სასწავლო ნივთი მლიერ იაფათ.

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

„ეგიპეტსკია“ { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ.

იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნით და საუცხოვო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

ტფილისში.

1913 წლის 1 ეკენისთვიდან

ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე პროვიზ. ფ. ა. რელიგიონის სახლში, თეთრ ხიდთან გაიხსნება

პირველი კერძო საავათმყოფო

სპეციალისტი აქიმების მუდმივი საწოლებით.

საავათმყოფო მოახდენს ანალიზს: შარდისა, ნახველისა, სისხლისა და სხვ. ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა, კონსულტაციურათ 606 და 914 შესხმა. არის განკერძოებული ოთახები მძიმე ავათმყოფთა და მშობიარეთათვის. მუდმივი მორიგეობა აქიმებისა.

დამფუძნებელი აქიმები: { აქ. გ. ა. [illegible], / — ი. ს. [illegible], / — მ. დ. [illegible], / — დ. ი. [illegible].

განცხადება.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ 1913 წლის 25 მარიობისთვიდან.

ქალთა პროფესიონალურ შკოლაში

დაიწყება ბავშების მიღება დილის 9-2 საათამდი. წლიური გადასახადი განყოფილებებში 20 მან. კლასებში-კი 25 მანეთი. წელს გაიხსნება მე-3-მე კლასი.

შკოლის უფროსი მ. დუნდუა.

შკოლის მისამართი: ობორინის შესახვევი სტ. ფირალოვის სახლებში.

ქუთაისის საფირჩხიის სამზრუნველო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 15 ეკენითვეს, დილით 11 საათზე, ამ სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაცემა:

საფლავების გაჭრისა, სასაფლაოს დაცვისა და სხვა..

ვაჭრობის დროს საწინდრათ საჭიროა 200 მ. დაწვრილებით პირობების გაცნობა შეიძლება ბ. იაკობ გ. ჩიმაკაძესთან, სახაზინო პალატაში.

ახალი უვნებელი საშვალება რძე პირისახისათვის „ბ ე ტ ტ ი“

ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თბილისში ლიბიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. ფასი ერთი მანეთი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა. აფთიაქის მაღაზია პ. ა. შავერზოვი.

აქიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

ლებულობს შინაგან, ბავშებისა და ნერვების ავათმყოფებს.

იქვე დიაგნოსტური კაბინეტი.

გამოკვლევა **შარდისა** (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარებისა დ თირკმლების, ქვისა და ხრეშის ავათმყოფობის გამოცნობა).
ნახველისა (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აკტინომიკოზი და სხვ..)
სისხლისა (მალარია, ტიფი და სხვადასხვა გვარი უსისხლობა).
კუჭის სითხისა (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).
ესკრემენტებისა (ნაწლევების პარაზიტებზე და მის კვერცხებზედ).
ჩირქისა (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).
ქალის რძისა.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.

შინაგან სნეულებათა **აქიმი**

ნიკ. ივ. შენგელია. მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

აქიმი ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, **ჯორჯიკიას** სახლი.

აქიმი კ. თ. **ტყეშელაშვილი.**

ღებულობს ავათმყოფებს **(შინაგანი ვენერიული კანის)** ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

აქიმი ი. ჩარექოვი

ილებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

აქიმი კ. ი. **აშიანცი** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. **ივანოვის ქ. ზ. აშიანცის სახლი.**

ქირავდება

ერთი ოთახი მეორე სართულზე ბალახვანის ქ. სახლი პ ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მ. ბალანჩივაძისა

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე უცრი ყვავილსაც.

გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის

მერვე კლასის მოსწავლე ვუსწორებ გაკვეთილებს მოსწავლეებს მეოთხე კლასამდი ხელმისაწდომ ფასში. ვინაობის გაგება შეიძლება გაზ. „იმერეთი“-ს რედაქციის კანტორის გამგესთან.

რუსული პრესა.

——

გაზეთი „დენის თანამშრომელს დეპუტატ გელოვანთან ულაპარაკია მეფის მოადგილის მოხსენების შესახებ. გელოვანს შემდეგი უთქვამს:

„გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი სიტყვით—ერთი ჰუმანიური და განათლებული ადმინისტრატორია რუსეთში.

თუ მეფის მოადგილის რამდენიმე ცალკე აზრსა და შეხედულებაზე დაიწყებთ მსჯელობას, მაშინ ბევრი შურით შეხედავს კავკასიას, რომ ამ განაპირა ქვეყანას ხვდა წილად ბედნიერება ხელმძღვანელათ გრ. ვარანცოვ-დაშკოვი ყოლოდა. მაგრამ სამწუხაროთ ამ ლიბერალი ბიუროკრატის სიტყვები საქმეს დაშორებულია.

განსაჯეთ თვითონ: მეფის მოადგილე აცხადებს, რომ კავკასიის რეფორმები მომწიფდა, მაგრამ მათ გატარებას ცენტრი უშლის ხელს.

რით აიხსნება, რომ გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი ჯერ კიდევ 8 წლის წინათ სცნობდა საჭიროთ სასამართლოს,

საერობო თვითმართველობათა და სხ. რეფორმებს.

ამ ხნის განმავლობაში გრაფმა იგი არამც თუ არ განახორციელა,—შეიძლება, ქე ცენტრში უშლიდა ხელს,—მაგრამ არც შეამზადა.

ჩემ შეკითხვაზე—რა მდგომარეობაში იმყოფება კავკასიაში საერობო რეფორმათა შემუშავების საქმე—აქამდი პასუხი არ მიმიღია. არაა პასუხი რადგან არაფერი აქვს საპასუხო.

მიგითითებთ ერთ ფაქტზე: კავკასიაში არსებობს 1881 წლის წესები ადგილობრივ პირველდაწყებით შკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლის შესახებ. ეს წესები მეფის მოადგილის მიერ 1907 წელშია დამტკიცებული.

ცხადია, კანონპროეკტია ამგვარი, მომხრე, მას კიდეკ უნდა იცავდეს, მაგრამ წესები ამ წლის დასაწყისიდან სასტიკათაა დარღვეული სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა მიერ.

შეიძლება ცენტრი გრ. ვარანცოვ-დაშკოვზე უფრო ძლიერი იყოს, მაგრამ სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ხომ მას ექვემდებარება და კანონიერების აღდგენაც მას შეუძლია.

გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი თავის მოხსენებაში საჭიროდ სცნობს უარყოს კავკასიელებსა და მათ შორის ქართველებში, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ, სეპერატული მიდრეკილება.

ეს სეპერატიზმის მითი რეფორმებს ულობავდა გზას...

* * *

ქართული პრესა.

დიასამიძის „თემი“ არც წვადსა წვავს და არც შამფურს. დიდი დიპლომატები კი არიან თემელები. დაჭირდებათ ასე იტყვიან, დაჭირდებათ ისე. აიღე ,,თემის‘‘ რედაქციის უკანასკნელი წერილი ,,განთიადის‘‘ რედაქციის მიმართ: აი რას სწერს სხვათაშორის ბ-ნი დიასამიძის ორგანო:

,,ბატონებო! ჩვენი წერილების გამო თქვენგან მივიღეთ პასუხათ: პირველი, რომ

,,თემმა‘‘ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ ფაქტებს ჯერ საზიზღარი ჭორი უწოდა და მერე წინადადება წამოაყენა: გამოიკვლიოთ თუ როგორი დამოკიდებულება ქონდა განსვენებულ ილიას გლეხებთანაო‘‘.

ეს სიტყვები სწორე არ არის. ჩვენ საზიზღარი ჭორი ვუწოდეთ მხოლოდ ,,მოგზაურის‘‘ იმ ამბავს, ვითომც ილიას ჯარი გამოეწვიოს საგურამოში გლეხების ასაწიოკებლათ, რადგანაც ახლა უკვე უტყუვრათ დამტკიცებულია, რომ ეს ,,მოგზაურის‘‘ ცნობა ყოველსავე სიმართლეს იყო მოკლებული.

დანარჩენი ამბების გამორკვევას კი ჩვენ საჭიროდ ვთვლით.

როგორც ხედავთ დიასამიძის ,,თემს‘‘ მხოლოდ ერთი რამ მიაჩნია ჭორათ მთელ ფ. მახარაძის მიერ წამოყენებულ საზიზღარ ცილისწამებაში, სახელდობრ ის, რომ ვითომ ილიას ჯარი გაეწვიოს საგურამოში გლეხების ასაწიოკებლათ. როგორც სჩანს დიასამიძის ,,თემს‘‘ ჭორათ არ მიაჩნია, ის ცნობები, რომელიც ასოთამწყობს ,,მოგზაურიდან‘‘ ,,სახალხო გაზეთის‘‘ მე—981 ნუმერში მოყავს. ფრაზები ფ. მახარაძის მიერაა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ნახმარი აი, ისიც:

1. „ამიერიდან ქართველ მკითხველს საქმე ექნება არა როგორც ქართველ მწერალთან, არამედ ქართველ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებინა. ჩვენ არა გვგონია, საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე ულმობელათ მიყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა“

2. „კაცი მთელ თავის სიცოცხლეში იმას სცდილობდა, რომ თავისი ბატონობა განემტკიცებია, რომ რაც შეიძლება მეტი წილი გლეხის ნაოფლარისა ჩაეგდო ხელში, რისთვისაც იგი გლეხ-კაცობას შევიწროებ ს ავენებდა, რისთვისაც იგი აღარაფერს არზოგავდა, ოღონდ კი თავის მიზანი განეხორციელებია.

3. ,,თავ. ილია ჭავჭავაძე გამოდის და დაურცხვენლად ადამიანის ხელშეუხებლობაზე, პიროვნების პატივისცემაზე და სამართლიანობაზე ლაპარაკობს. ის, ვინც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ადამიანის პიროვნებას ფეხქვეშ სთელავს და ჯიჯგნის, იმის პირიდან ასეთი სიტყვების წარმოთქმა ყველა პატიოსან ადამიანში მხოლოდ ზიზღს იწვევს“.

4. ,,მან არ იცის რას ქვია გაჭირვებული კაცის შებრალება. თუ კერძო საკუთრების პრინციპის დაცვაზე მიდგა საქმე, იგი მზათაა მას ანაცვალოს ყოველივე, დაკარგოს სინიდისი, პატიოსნება და პრინციპს კი არ უღალატებს‘‘.

5. ,,საჭიროა ნათლად დავანახოთ მკითხველს, თუ ვინ ადგას სისტემატიურათ ბეზღობის, ცილისწამებისა და ჯაშუშობის გზას‘‘.

6. ,,თავ. ჭავჭავაძემ გლეხები დააბეზღა, ჯაშუშობა გასწია თავისი ნივთიერი ინტერესების გულისათვის‘‘.

7. ,,სამწუხაროთ ჯაშუშობის როლი ჭავჭავაძეს ზედ მიწევნით აქვს შესწავლილი და შესისხლხორცებული‘‘.

8. ,,ჩვენ არა გვგონია, რომ ამაზე მეტი ბეზღობა ოდესმე ჩაედინოს ბეზღობაში და ჯაშუშობაში განთქმულ გრინგმუტს, მეშჩერსკის, კომაროვს და თუ გინდ პალმს‘‘.

როგორ გგონიათ, ილიას ჯაშუშობა საზიზღარი ჭორი არაა? რომ სწერთ—,,უნდა გამოვიკვლიოთო‘‘,—რა უნდა გამოიკვლიოთ? ის რომ ილია ჯაშუში იყო თუ არა?

შემდეგ ,,თემი‘‘ განაგრძობს:

მართლაც, ყველა ეს ,,პროტესტები‘‘, რომელიც ,,თანამ. ქვეყანაში‘‘ იყო დაბეჭდილი და დღესაც ,,განთიადში‘‘ იბეჭდება, მოწმობს, რომ საკითხი ამჟამად გადატანილია იმგვარ პირობებში, რ დესაც სჯა-ბაასი მშვიდობიანათ და მიუდგომლათ აღარ არის შესაძლებელი.

მართალი მოგახსენოთ, ამას თქვენგან არ მოველოდით. (?!)

როგორც სჩანს „თემისთვის“ მოულოდნელი ყოფილა ისე, რომ „განთიადი“ საკითხს იმგვარ პირობებში გადაიტანდა, სადაც „სჯა ბაასი მშვიდობიანათ და მიუდგომლათ“ შეუძლებელი იქნებოდა და ერთად ერთ სახსარს და შველას ხედავს საქმის გამოსარკვევათ:—

ჩვენ შორის ატეხილი დავა და კამათი, აგრეთვე ამ დროს ხმარებული საბძოლველ საშუალებათა შეფასება განსახილველათ და აზრის გამოსათქმელათ გადავსცეთ ან სახელმწიფო სათათბიროს მემარცხენე ფრაქციებს, ანდა ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს“ „ზავეტის“ და და ,,სოვრემენი მირის‘‘, ,,სევერნი ზაპისკების რედაქციებს. ყველა მასალა, რასაკვირველია, უნდა ახლავე გადავთარგმნოთ რუსულათ და წარვუდგინოთ მათ.

სხვა გზის არჩევა დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ჩვენის აზრით.

ნუ თუ?—დავსძენთ ჩვენ...

დღიური.

ავსტრიისა და უნგრეთის ბანკებისაგან ბულგარეთი 300 მილიონ ფრანკს თხოულობს სესხათ.

— ოსმალეთი თხოულობს ბულგარეთისაგან კიდევ სხვა ახალი ქალაქის დათმობას.

— იაპონიამ ნანკინი აიღო.

— ჩინეთში ჯარის მობილიზაცია გამოაცხადეს.

— აბდულ-ჰამიდი მძიმე ავათ გახდა.

— მილიუკოვი სტამბოლს მივიდა.

— რუსეთი ურჩევს ბულგარეთს, რაც შეიძლება მალე შეურიგდეს სერბიას.

— შრომის ჯგუფის ლიდერი კერენსკი ბაქოს, თფილისსა და ქუთაისში ლექციას წაიკითხავს.

— იაპონიამ მოსთხოვა ჩინეთს ცეციანგის ველზე კონცესიები რკინ. გაყვანის თაობაზე, მაგრამ ჩინეთმა უ უთხრა.

— სერბიასა და მთაშავეთს შორის ზღვრების შესახებ დროებით შეთანხ მოხდა.

— რუსეთი, ინგლისი და საფრანგ პროტესტს განაცხადებენ, თუ გერმა სირიასა და სომხეთში რკინის გზაზე ლი კონცესია აღადგინა.

— რუსეთი ინგლისთან, დანიას ბელგიასთან და იტალიასთან ლიტ ტურულ კონვენციას სდებს.

ახალი ამბავი.

უგანათლებულესი თავადი უჩა დადიანის საქმეს 18 სეკტემბერს გაარჩევს ბაქოში თფილისის სამოსამართლო პალატა.

✦ ბრიუსელში მყოფი თფილისის ტრამვაის გამგეობა ტრამვაის გაფიცულ მუშათა რამდენიმე მოთხოვნილების განხორციელებაზე დათანხმდა. გამგეობა წარმომადგენელს გზავნის თფილისში გაფიცულებთან მოსალაპარაკებლათ.

✦ შავი ქვის მწარმოებლებმა თანხმობა გააცხადეს, ფოთში შავი-ქვის მუშებისათვის საავათმყოფო და აბანო დაარსონ ორი თვის განმავლობაში. ხსენებული თანხმობა გაფიცულ მუშათა მოთხოვნის შედეგია.

✦ გაზეთ „რუსსკოე სლოვოს“ დეპეშით ატყობიებენ ქუთაისიდან: „ქართულ სამრევლო შკოლებს დაუგზავნეს ახალი სამოსწავლო პროგრამა, რომელიც გარუსების ტენდენციითა გამსჭვალული. ეს პროგრამა საქართველოში ყოფნის დროს ვოსტორგოვმა შეიმუშავა, რამდენიმე ხანს გაუქმებული იყო, ხოლო ახლა ისევ აღადგინეს.

✦ დოსტაქარი გ. მუხაძე ლონდონიდან კვირე ნახევარია რაც დაბრუნებულა. ამ დღეებში ჭიათურაში მიელიან.

✦ ქუთაისში თფილ. ქუჩაზე მცხოვრები ბ-ნი ივანე თოფურიძე გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „მე მაქვს 4 ძველი სხვადასხვა გვარი სახის ლითონი, რომელიც ნაპოვნია გთხოვთ თუ ვინმე გევულებათ არქეოლოგიური ნაშთებით დაინტერესებული, შეგვატყობიოთ“.

✦ რედაქცია საჭიროთ სთვლის მიუთითოს ბ-ნ თოფურიძეს ქუთაისის ეთნოგრაფიულ საზოგადოებაზე. ის ა ბებს, ცხადია, ბატ. თოფურიძე ამ ზოკადოებას შეწირავდეს ხსენებულ თებს.

✦ ირკუტსკის გუბერნიის, ქალაქ რენსკიდან პოლიტიკური გადასახლ ლი ერმილე კობიძე იწერება: „აქ მოსახლებულები დაქსაქსული არიან, თიმეორეს ვერ სწვდებიან, რომ და რონ ერთმანეთს. სამუშაო არ მო ნება. ორ შაურათაც იმუშავებდენ, სამუშაო მოიძებნებოდეს. ერთადერ შაქრის ქარხანაა, სადაც 10—15 მუშაობს მეტი არა, დანარჩენები უ მოთ დიდ გაჭირვებაში არიან.

✦ შორაპნის მაზრაში დაითხოვ კლდეეთის მთავრობის მამასახლისი პორშნიკი აგუშვილი და ს. საქარის მასახლისი ბ. კილაძე.

✦ „კასპს“ პეტერბურგიდან დე შით ატყობიებენ: გზათა სამინის აპირებს ახალი ტიპის საყინულე ვა ნების შემოღებას. 9 ვაგონი ყინულ დატვირთული აქიდან გაგზავნილი ი ბა ქუთაისს, საიდანაც დაბრუნ ხილითა და ხორცით. დაბრუნებისას გონებს სპეციალური კომისია გასინჯ

✦ 31 აგვისტოს შორაპნის მაზ სოფ. მანდეეთში ბოროტგამზრახ თავს დაესხენ კ. გიგელაძეს და მ მკვლელი ვერ ამოიჩინეს.

✦ ქუთაისიდან ბაქოს მეორე გ ზიაში სღვთო სჯულის მასწავლებ გადაყვანილმა დეკ. ე. კანდელაკმა ნაზიაში შექმნილი ატმოსფერის სამსახურს თავი დაანება და მრ სურვილის გამო კულაში წავიდა ღვდ

✦ ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოზი ორგი სახერესკენ ზოდის ეკლესიის კურთხევლათ გაემგზავრა.

ბუნების წიაღზე.

გაკვრით ფიქრები და შთაბეჭდილებანი.

(დასასრული იხ. „იმერეთი“ № 133).

იქვე ახლო მამისონის თავთან ამავე სახელის სკორეც არის. შემდეგ, დაეშვებით თუ არა ულელტეხილიდან, პირველი, რაც თქვენ თვალს იტაცებს და რაც ოსთა სამფლობელოს მაჩვენებელია,—გახლავთ მაღალი თოვლიანი მთები—„ზარდაიხოხი“ და „ზაყაიხოხი“. ხოლო პირველი სოფელი ოსებისა, რომელიც ქვემოთ გზაზე დაგხვდებათ, არის „ქალაქა“ და იქვე მის გვერდით „უღელე“. უღელეს მინდვრებზე ქართველებსა (რაჭველებს) და ოსებს დიდი სისხლის მღვრელი ბძოლა ქონდათო, გადმოგვცეს. ამ ბძოლაში ქართველნი ძლევა-მოსილნი გამოსულან. ხალხში ამ ბძოლის შესახებ დღემდი დარჩენილა ერთი ლექსი, რომელსაც ფერხულშიც მღეროდენ ხოლმე.

აი, რამდენიმე ტაეპი ამ ლექსისა;

უღელს ჩამოდგა
ოსი და დვალი,
სულ მთლად დვალეთი,
ფაიქომელი.
ომი შეიქმნა
ცისკრისა ჟამსა,
მზის ამოსვლასა—
გამთენიანსა.
ქნევა ხმალისა,
ფარვა ფარისა,
ძგერა შუბისა!
შუბის ნალეწი
ზეცას სცვივოდა,
მესამე დღესა
ჩამოცვიოდა.
ჯაფარ*) გაიქცა.
ჯაფარ წაიქცა,
სვეტი ოქროსი!
ოსი მოსდევდა:
ჯაფარ, ვერ წახვალ
შინა მშვიდობით!
ცოლს ვერ მიუტან
ლაშქრულ ამბავსა,
წითელ კაბასა,
წითელ ქოშებსა!
ოსნი კითხამენ:
— ჩვენნი რა იქმნენ?
— სულ ყველა გასწყდა,
ათასში ორი
ცოცხალი დარჩა!
უკან მოდიან
ხელ ქარავნითა
წვრილი წელები
ხელკალათითა...
და სხვადასხვა.

ამ ლექსის სრული და სწორი ტექსტი ვერ ვიშოვე. როგორც შემიმჩნევია, ხალხურ ლექსებს თუ სხვა რამ ხალხის ნაწარმოებს მისი ახლანდელი მთქმელნი ძალზე ამახინჯებენ, ხშირათ იმდენათ, რომ მათში აზრები ან არეულ-დარეულია, ან და სრულიად არავითარი არ არის. ეს რასაკვირველია, დროის ბრალია და რაც მეტი დრო გავა, მით უფრო ძნელი გახდება ხალხის გონების შემოქმედების—სხვადასხვა ზეპირ გადმოცემათა, ასე ვსთქვათ, რესტავრაცია. აი, რატომ არის დიდათ საჭირო—დროით ამ უკანასკნელთა შეკრება. არას ვამბობთ იმაზე, რომ ჟამთა მსვლელობა ბევრი ძველი რასმის კვალსაც არა სტოვებს.

ოსურ სოფლებს ქღელეს, ქალაქასა და სხვებს სამხედრო-ოსეთის გზის ორივე მხრით მდებარეთ, თავისებური ელფერი აძევს. გარეგნულათ ქართულ სოფლებისგან იმით განსხვავდება, რომ ოსეთში სოფლის სახლი ერთიანათ ფიქალისაა მიწის სწორი სახურავით, ხოლო ქართულ სოფელში, ქუთაისის გუბერნიაში მაინც, ხის შენობა ჭარბობს. როგორც ზემო რაჭაში, აქაო ყოველ სოფელში თავის დასაცავი ციხე-კოშკები მრავლათ მოიპოვება. როგორც იქ, ისე აქ მჭიდრო მოსახლეობაა, უეზოვო კარმიდამო და ამიტომაც სისუფთავეც ნაკლებათაა.

ბუნება ოსეთში, ულელტეხილიდან ქვემოთ, მთელ მამისონის ხეობაში არაფერს შესამჩნევს არ წარმოადგენს. როგორც საზოგადოთ, აქაც ამ სიმაღლეზე, გარდა გაშიშვლებული რუხი კლდეებისა და სათიბ თუ საძოვარი მიდვრებისა, სადაც ზაფხულში ცხვრები და თხები ათასობით დაჰრიალობენ,—ტყიან მთებს ვერ შეხვდებით. მხოლოდ კარგათ ცნობილი, მუდმივი თოვლით დაფენილი მწვერვალი ადაიხოხისა და სხვა თოვლიანივე მთები, ეს აუცილებელი აქსესუარი კავკასიის ბუნებისა, და კიდევ მამისონის სკორედან გამომდინარე მთის წყალი—მამისონდონი—არღვევს აქაურ ბუნების, ცოტა არ იყოს, მომაბეზრებელ ერთგვარობას და თვალს ახალისებს, გულს ეფერება.

⁂

მაგრამ, გასცილდებით თუ არა ერთერთ დიდ სოფელს—ზარამაგას, თქვენ შედიხართ აგრეწოდებულ კასარას ხეობაში, რომლის მეტათ თავისებური, იშვიათი, შეუდარებელი სილამაზე, რაც უფრო აკვირდებით, მით უფრო გხიბლავთ, მით უფრო გიტაცებთ. ორივე მხრით, მთელი ათი ვერსის მანძილზე მაღალი სალი კლდეები—გიგანტები მიხაკისფერი, მოყვითალონო, მომწვანო, მოწითალო, თუ სხვა ათასნაირ ნიუანსებით შეფერილი, რომელნიც ზოგგან არა ხშირი ნაძვნარითა და ტყე-ბუჩქნარით მოხდენილათ, თითქო დიდი ხელოვნებით, შემოსილა... კლდეებს იქით თოვლყინულიანი მაღალი მთები, როგორც მეტათ კოხტა კალპერხოხი, ყოშაიხოხი, ქუბანხოხი, ურსხოხი და სხ., იმდენათ მაღალნი, რომ სწორეთ აქ გგონია ადამიანს, რომ მთა მართლაც ზეცას მიბჯენიაო. ზოგს ოდნავ ნისლი გადაკვრია სალამო ჟამს, ზოგს კი პირისახე ნათლათ უჩანს, ბრწყინვალე და მოელვარე, ჩამავალ მზის სხივებით გაშუქებული. შუაში კიდევ არადონი, ეს „გიჟი წყალი*“), რომელიც, როგორც მთის მდინარე, რიონისა არ იყოს, ვიწრო ხეობაში თავის ძლიერი შუილ-ხუვილით ყური მიაქვს, ქუხს, გრგვინავს, ღრიალებს, ვით გაათრებული ნადირი, თითქო ლამის გზაზე ყოველივე შთანთქას, ყოველივე გაანადგუროს.

ერთ ჩემს თანამგზავრს, მხატვრობისა და ესტეტიკის მოტრფიალეს, შევეკითხე: —რას ფიქრობ, შეუძლია თუ არა დიდათ დახელოვნებულ, ნიჭიერ მხატვარს კასარას ხეობა დახატოს მთელი მისი სინამდვილით, მთელი მისი შვენებით?—ეს ძალიან ძნელია: აქ იმდენი ტონია, იმდენი ნიუარსები...

მე კი ვფიქრობ, რომ ეს არა თუ ძნელია, ყოვლად შეუძლებელია.

ამბობენ ხოლმე, ფოტოგრაფიული სურათი, პეიზაჟი ყოველთვის უფრო ლამაზია სინამდვილეზეო, ამ აზრს ვერ დავეთანხმები: სინამდვილე ხშირათ უფრო მეტია, უფრო მშვენიერია ხელოვნებაზე; ბუნების შემოქმედება ხშირათ უფრო მაღალი, უფრო ღრმა, უფ რთულია ადამიანის შემოქმედებაზე, რ უნდა სრული იყოს ეს უკანასკნელ სინამდვილეს ვერ ხატავს ვერც ხ მაღალ ნიჭიერ მხატვრისა, ვერ აწ ვერც კალამი დიდებულ მწერლისა, გვაცნობს ვერც დიდათ მჭევრეტი ორატორისა...

კასარას ხეობაში კლდეებში მე ბევრი ჯიხვი და არჩვი იცის, რომელ კირტიშოს გადადიან თურმე, ვეძას**) სალევათ. აქაურ ჯიხვებზე ხალხში (ველებში) ერთი პატარა ლექსიც დარ ნილა:

კასრას დასწყიეს***) ჯიხვებმა—
—დაშრეს კირტიშოს ვეძაო:
როდესაც იქით წაველით,
თითო მთავარი გვრჩებაო...

კასარას ხეობაშივე ერთი ციხის ნ გრევებზე მიგვითითეს, რომელსაც, გ მოცემით, მეფე ვახტანგ გორგასლ აკუთვნებენ. გელათში მიტანილი რუბანდის კარები წინათ თითქო აქ უ ყოფილიყოს (?).

⁂

კასარას ხეობის ბოლოში სადგუ მგზავრთათვის, რომელსაც —урочище Николая-ს ეძახიან. ეს არც სოფე არც დაბა და არც ქალაქია, გარდა ხაზინო სადგურის შენობისა და ე შემთხვევით აგებულ დუქნისა, აქ არა რა მოიპოვება. არავინ არ მო ლეობს.

აქ სამი ხეობა ერთად იყრის თავს. გულისხმო და დასათვალიერებელი არის რა. მიუხედავათ ამისა, აქ ყოფ ორი ღამის განმავლობაში, ყველა აქ

---

*) ჯაფარ ქართველთა მთავარსარდალი იყო, როგორც გადმოგვცეს.

*) არადონი ოსური სახელწოდებაა, და ქართულათ ნიშნავს „გიჟ წყალს“.

**) საზოგადოთ მჟავე წყალს რაჭველ „ვეძას“ ეძახიან.

***) დასწყევლდეს.

ჭლიური ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

თანახმათ ხელის მოწერის საღაზეთო პირობისა, ვინც პირველ ენკენისთვიდან დანარჩენ ხელფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობათ.

✦ გელოვანის—ქვრივის საფლავზე ვირგვინის დადების ნაცვლათ რედაქციაში გამოგზავნეს სამი თუმანი. ეს ფული დანიშნულებისამებრ გადაეცა წ. კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების მოლარეს ბართ. მოსეშვილს.

✦ ქალ. სანიტარმა ი. ჩაჩანიძემ უსუფთაობისთვის ოქმი შეუდგინა ბალახვანის ქუჩაზე შემდეგ პირებს: პორფილე ვა- კიძეს, იოსებ მუხურაძეს, ნესტორ კი- ნიძეს, სიმონ კიკნაძეს, კოსტა მურუსი- ძეს, ნიკოლოზ მატარაძეს; მეპურეს ომა- ნეს ჩოროდვიანცს მჟავე პურის გამოცხობისთვის და სხვა.

ამავე სანიტარმა გაგზავნა ლაბორატორიაში შესამოწმებლათ გამომცხვარი პური და წყლები მაისურაძის ქარხნიდან.

საჩხერე (შორაპნის მაზრა). იანვრამდი დამთავრებული იქნება საჩხერის საქალებო შკოლის საკუთარი შენობა, რომელიც კნ. ელისაბედ წერეთლის მეუღლის თაოსნობით შენდება. საქმეს აფერხებს ხალხის მიერ შკოლის სასარგებლოთ შეწერილი გადასახადის უღელტეხილობა. ეს პირველი მაგალითი არაა საჩხერის ვაჭრთა გულგრილობისა საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი.

ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებელში 27 აგვისტოს დაიწყო მისაღები გამოცდა, ხმებია, მასწავლებელი ქალი ქრაძის ასული სამსახურს თავს ანებებსო. წელს ბევრი მთხოვნელი მიაწყდა ჩი- ის ორ-კლასიან სამინისტრო შკოლას, მაგრამ მისაღები გამოცდა არ იქნება, რადგან შკოლაში მესამე მასწავლებელიც არ დაანიშნეს. შკოლის მართველმა უკვე აღძრა ამის შესახებ შუამდგომლობა სახალხო შკოლათ ინსპექტორის წინაშე.

17 აგვისტოს სოფ. არგვეთში ადგილობრივი სამკითხველოს სასარგებლოთ საღამო გაიმართა. საღამო შინაარსიანი გამოდგა. შემოსავალი 250 მანეთს უდრის.

საჩხერის ბიბლიოთეკასამკითხველო უმწეო მდგომარეობაშია. სამკითხველოსთვის „სახალხო გაზეთიც" ვერ გამოუწერიათ უსახსრობისა გამო. მიწყნარდა ხმები სამკითხველოსთვის საკუთარი შენობის აგებისა.

სოფ. ნიკორწმინდა (რაჭა) მადლობა ღმერთს, ველირსეთ მ. ჯ...ის გადაყვანას, ოთხი წელიწადია ამ მასწავლებლის მოქმედობით დიდათ სანატრელ მდგომარეობაში არ იყო მთელი სოფელი. ბევრი საქმენი საგმირონი ჩაიდინა მან აქ, რომლის გამოქვეყნებას ვთხოვთ ბ. შკოლის მზრუნველს და სოფლის მასწავლებლებს. დარწმუნებული ვართ ეს პატივცემული პირები გამოამზეურებენ მ. ჯ—ის ნამდვილ სახეს; დასელების არმიას ეკუთვნის იგი. საზოგადოებამ საჭიროა გაიგოს რა ჭირისუფლობას უწევდა იმ გლეხების ქონებას, რომლის მოამაგეთ მას თავი მოქონდა. მკითხველების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ეს ის ჯ—ლია რომელიც აფრთოვანებით შეეგება ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავს (იხილე „იმერეთი" № 121.)

ხმა შვეიცარიიდან.

შემთხვევა მოგვეცა უკანასკნელათ ჟენევის ქართულ ეროვნული წრის კრებას დავსწრებოდით. სხვა საკითხთა შორის ერთი ფრიად საგულისხმიერო საკითხიც იყო წამოყენებული. სახელდობრ ის, თუ როგორ შეიძინოს ბიბლიოთეკისთვის საკუთარი შენობა. საკუთარ შენობაზეც დაიწყო წრემ ლაპარაკი, რადგან შენობისთვის ადგილს სწირავენ ქ-ნი სილვი კალანდარაშვილისა (შვეიცარიელი ქალია) და ალექსანდრე კალანდარაშვილი. ადგილი ჟენევაზე 4–5 კილომეტრითაა მოშორებული. მიწას იძლევიან იმდენს, რამდენიც დასჭირდება შენობას. დღეს იქ კვადრატიული მეტრი მხოლოთ ხუთი ფრანკი ღირს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში რომ 3-4 წლის წინათ მეტრი ნახევარი ფრანკი ღირდა, თუ მივიღებთ იმასაც, რომ ქალაქი იქით შენდება; სადგური იქვე გვერძე კეთდება ამ მოკლე ხანში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მალე ძალიან ძვირფასი იქნება. ეს დღესაც დიდი შემოწირულებაა 400 კვადრატი მეტრი ახლანდელი ფასითაც ორი ათას ფრანკს იზამს. დიდი მადლობის ღირსი არიან ბ.ბ კალანდარაშვილები. ვნახოთ, როგორ გამოიყენებს ამ მიწას წრე. კრებაზე სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ზოგს უნდა—ათასი ფრანკიანი შენობა „შალე" აგოს ეროვნულმა წრემ: სხვები ამტკიცებდენ, ვალებში არ ჩავარდეთ და პატარა ორ ოთახიანი 500-600 ფრანკიანი, „შალე" დავსდგათო. საქმე ისაა, რომ თუ პატარა შენობა იქნება, მაშინ მიწასაც ნაკლებს იძლევიან, ერთი სიტყვით, იმდენს, რამდენიც მოუნდება შალეს პატარა ეზოთი. იმ შემთხვევაში, თუ ჟენევის ქართული ეროვნული წრე თავის ბიბლიოთეკით მოისპო, შენობა ადგილით ქ. შ. წ. კ. ს. გამგეობის საკუთრებათ გადადის, როგორც ხედავთ მიზანი დიადია. კომისია აირჩა, რომელიც შეიტყობს ფასებს სხვადასხვა შალეებისას, გაიგებს რა პირობებით შეუძლიათ ააშენონ, რამდენია საჭირო ახლავე ფული და დანარჩენი ვალი რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება გადაიხადონ და სხვ. წრეს ამ ჟამათ სულ მცირე თანხა აქვს; დიდი იმედები აქვს, რომ სამშობლოდანაც არ დაიშურებენ წვლილის შემოტანას ამ სიმპატიური აზრის განსახორციელებლათ. მართლაც მნიშვნელოვანია, რომ საზღვარ გარეთ, შვეიცარიის ერთ-ერთ ქალაქში, ჩვენც გვქონდეს თუ დიდი არა, პატარა შენობა მაინც, სადაც მოგზაური ქართველი, ანუ ხელმოკლე ქართველი მოსწავლე თავს შეაფარებს. ვნახოთ, კომისია რა გადაწყვეტილებას წარუდგენს შემდეგ კრებას. ამას კი ვიტყვით წინდაწინ, რომ მეტათ სერიოზული საკითხია პატარა წრისთვის გადასაწყვეტი. ერთი მხრით შიში იმისი, რომ ვაი თუ დიდი შენობა დავიწყოთ და უზომო ვალში ჩავცვივდეთ, მეორე მხრით—პატარა შენობა გადასწყდეს და მეტი მიწა დავკარგოთ. ყოველთვის ხომ არ მოგვეცემა ასეთი შემთხვევა, რომ შემომწირველები გამოგვიჩნდენ ჟენევაში?

თეთრი.

◆

შიმშილობის მიდამოებში.

ჩვენის აზრით დღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ დასავლეთ საქართველოს და თითქმის აღმოსავლეთსაც, მოუსავლობის გამო საშინელი შიმშილობა მოელის. ყანებიცა და ვენახებიც მთლად გადამხმარა და ამის გამო მოსავლის საიმედო პირი სრულიად არ უჩანს. ცხადია რანაირ გაჭირვებას გამოივლის ქართველი გლეხობა, თუ მას დროზე არ მიეშველა ჩვენი ინტელიგენცია და საჭირო შუამდგომლობით დროზე დახმარება არ ამოუჩინა. იმ სოფლებში, ჩვენ რომ პირადათ ვნახეთ, წლევანდელი მოსავლის შესახებ საშინელი სურათი გვეძლევა თვალწინ. თუ შარშან, როდესაც მოსავალი—წლევანდელთან შედარებით—კარგი იყო, მაგრამ გლეხი მაინც ემდუროდა ბუნების სიძუნწესა და მოუსავლობას, სჩიოდა, წელს იმავ მიწებზე შარშანდლის მესამედიც არ მოვა. გლეხის თვალწინ შიმშილობის საშინელი სურათი იშლება; მან არ იცის, რით გამოკვებოს ოჯახი, და უნუგეშოთ თავჩაქინდრული და თვალ-ცრემლიანი გაყურებს ყანას. ისევე ითქმის თითქმის ხეხილის მოსავალზედაც, რომლის საშვალებით ხშირათ საწყალი გლეხი ორიოდე კაპეიკს შოულობდა, რომ საჭირო გადასახადი გაესტუმრებია და ოჯახში ნავთი, მარილი და მისთანები შემოეტანა.

„მამულები აქამდის ისეთი კარგი იყო, რომ მასთან სიმიდის მოუსავლობა თითქმის აღარაფრათ გამოჩნდებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელი კვირის სიცხეებმა ვაზი ისე დაწვა, რომ მათგან აწი სრულიად აღარაფერს აღარ მოველით"-ო მითხრა გულნატკენათ ერთმა მემამულემ.

დიახ, შიმშილობა აუცილებელია, საჭიროა ახლავე გამოვნახოთ დახმარების წყარო.

მოკეთე.

◆

სამშაბათელა.

საყვედურები მესმის:—საპროტესტო წერილები, რაც ამდენი შრომა და ჯაფა და ხარჯიც უზის დასელებს, გაახუმრეთ-გაამასხარეთ--გაა-ფირუზ-გააკვირიკ-გაასამშაბათელეთო. და მიტომაც პროტესტანტები—ზოგი მათგანი—გარდა ჩვეულებრივი ეპიტეტებისა:—მამულიშვილები, თფილი ადგილების მაძიებელი, დემაგოგები და სხვა—კვირიკების ორგანოსაც უწოდებენ თქვენს გაზეთსო... ერთი მიბძანეთ—სხვაფრივ შეიძლება იმ პროტესტებზე უპასუხოს კაცმა? მე თუ მკითხავთ—არა!

ჩემდა თავათ ვფიქრობ—სერიოზულათ ამ პროტესტებზე პასუხის გაცემა არ ღირს!.. ურჩი მიუშვი ნებასა—თვით შეეყრება სნებასა... [illegible] იქნება:—სულ ერთ ჰანგზე, ერთი კილოთი დაწერილი, ერთგვარი ეპიტეტებით, ტრაფარატით შეხანხლული წერილები, აგერ მეორე თვე გადის... დამჟავდა, დაძმარდა, დამცხარდა...

ქართლში გორისკენ ერთი გემრიელი ლურჯი პური იცის—მახობელას ეტყვიან. ერთ ქუთაისელ მეთორნეს ფქვილათ ჩამოაქვს ეს პური და აქ აცხობს. მარა იმ პურისა აღარც გემო აქვს მისგან დამზადებულს, არც ფერი... მჟავე, უმცხვარი, მაგარი, უხეირო, უგემური. ნუყურ—„არჟანოი ფქვილს" ურევს თურმე შიგ და რას წაადგება!..

აი, ეს გარემოება მაგონებს ჩვენებურ დასელებს, რომელთაც სოციალ-დემოკრატიის წოდება ულირსად მიუწებებიათ.

ადრეც არა ერთხელ გვითქვამს:—ბებელის, ენგელსისა და კაუცკის ქვეყანაში სოციალ-დემოკრატია ხალხია, ნამდვილი ხალხია ცოდნის, ტვინის, შეგნების... სახელმწიფო ანგარიშს უწევს მათ.

ჩვენში?

გადმოიტანეს ეს გემრიელი მახობელა და შიგ რუსის „რჟანოი" ფქვილი შეურთეს... დაამჟავეს, გაამწარეს და ისე აწვდიან ხალხს.

„დასელობას" სოციალ-დემოკრატობათ ასაღებენ.

ხამშაბათელა·

◆

პროტესტების გამო.

ყველაფერს აქვს ცხოვრებაში საზღვარი, მხოლოდ განთიადლებისათვის ეს არ არსებობს. სანამდი გნებავთ ასეთი ცრუ დაუსრულებელი აზრით კვებოთ მკითხველი საზოგადოება? ნუთუ თქვენს ასეთ საქციელს დასასრული არ უნდა ექნეს? და სიყალბეზე ააშენოთ არა სასურველი მოვლენა ხალხის თვალში?

თუ უმრავლესობას არა, უმცირესობას მაინც მოეთხოვება თქვენს თანამოაზრეებს თავდაჭერილობა და ესენი მაინც მოვიდენ გონს! რას ჩადიხართ?

დიდებული ადამიანი ისხვერპლა გარეწარების მოქმედებამ—ეს ყველასათვის ნათლად სჩანს, და მგონია განურჩევლად რწმენისა, მიმართულებისა, ყველასათვის მეტათ სავალალო და სამწუხარო არის და იქნება მუდამ. თქვენ, ბატონებო, ათასი ამტკიცოთ—დიდებული ადამიანის, ხალხის მოჭირნახულის უპატიოსნება, ეს მარტო ცარიელ სიტყვებათ დარჩება. ვისაც წაუკითხავს განსვენებული ილია ჭავჭავაძის ნაწერები ანუ თუ აწი წაიკითხავს და გაეცნობა მის მოღვაწეობას ის მაშინვე დააფასებს მას და თქვენს წინანდელ პროტესტებს და ახლანდელს, სიყალბეზე აგებულათ ჩასთვლის. სიყალბეა მისთვის, რომ, როგორც ახლა რამდენიმემ განაცხადა,—მათდა ნებადაურთველათ ხელი მოგიწერიათ პროტესტებზე—ბავშებიც კი არ შეიბრალეთ. ასეთი საძაგლობა ჩაიდინა ადრეც ერთმა ვაჟბატონმა, თქვენმა თანამოაზრემ, როცა ჩემი სახელი და გვარი და სხვისიც გამოჰქმა პროტესტის ფურცელზეჩვენდა ნება დაურთველათ, რაზედაც სასტიკი პროტესტი განუცხადეთ წაკითხვას შემდეგ. აბა, ნახეთ კარგათ, თუ ჩემი ხელმოწერილი იქნება, მაშინ რაც გნებავთ ის მიწოდეთ. დღესაც ასეთი სიყალბით კვებავთ უდანაშაულო საზოგადოებას, დროა, გონს მოხვიდეთ...*)

ილიკო კაკაბაძე.

---

*) თუ საჭიროება მოითხოვს განვ ჩაიდინა ასეთი სულელ-საძაგლობა, ჩემდანებადაურთველათ ჩემი სახელი და გვარით ისარგებლა, იმასაც გამოვაშკარავებ. ი. კ.

ი დიდი სიამოვნებით ვიგონებთ: ის ტუმართმოყვარეობა, ის არაჩვეულებრივი, უანგარო სამსახური, რომელიც ამ დგურის გამგე ოსმა ჩვენ მიმართ გამოიჩინა, არსად მგზავრობაში, ნამეტურ ხელმწიფო გზების მოხელეთაგან, არ შემხვედრია. ფულით ჯილდო არ მიიღო. იმ ხანათ მეტი ვერა მოვიგონე რა, რომ მგზავრთათვის დაწესებულ წიგნში ჩემსა და ჩემის ოჯახის მაგიერ უზომო, გულითადი მადლობა გადავუხადე ასეთი მიათი, გულკეთილი მიღებისათვის და თაისს მივიპატიჟე. ამ თვისებას ჩვენი მასპინძლისას, ეტყობა, ბევრი მოუხიბავს, რომ, სხვა შთაბეჭდილებებთან ერთად წიგნში ამას თითქმის ყველა აღ- ვნენ. ამ ათის წლის წინათ, აქ მაქსიმ გორკისაც გამოუვლია, რომელიც ამავე წიგნში სხვას არა სწერს რა, გარდა განუსაზღვრელ მადლობისა მასპინძლისადმი. საზოგადოთ უნდა ვსთქვა, რომ ოსები, ჩემის დაკვირვებით, ძალიან სტუმართმოყვარე ხალხია. ზოგიერთების შეხედულება ოსებზე, ვითომც ისინი გაუ- ნელნი, მზაკვარნი იყვნენ,—მე ეს განზოგადოებული დასკვნა საფუძველს მოკლებულათ მიმაჩნია. სხვათა შორის, ამავე სადგურზე ერთ ინტელიგენტ ოს-მაჰმადიანს გავეცანი, რომელიც სამეცნიერო ექსკურსიაში, ხარკოვის უნივერსიტეტის ერთ პროფესორთან ერთად, მონაწილეობას იღებდა—საანტროპოლოგიო მასალებს აგროვებდენ ოსეთში. და ამ გაცნობამ ზედმეტათ დამარწმუნა, რომ ის და სხვა შეგნებული ოსები გულწრფელი მეგობრები არიან ქართველებისა. ჩვენი მოვალეობაა ასეთი განწყობილება არ შევასუსტოთ, მეგობრობა განვამტკიცოთ.

ვისაც წეის სკორე უნდა ნახოს, მან აქ უნდა დასტოვოს სამხედრო-ოსეთის გზა და აქედან უნდა ავიდეს სკორეზე. სკორისაკენ ეტლი ვერ დადის. ის 14 ვერსი, რომელსაც აქ დაახლოვებით ანგარიშობენ, ან ცხენით ან ქვეითად უნდა გაიაროთ, ხოლო უკანასკნელი სამი ვერსი უეჭველათ ქვეითად, რადგან აქ ცხენითაც ყოვლად შეუძლებელია ასვლა. გზა მიდის წეიდონის ხეობით. სკორეს სახელი ეწოდება როგორც ხეობას, ისე სოფელს და მდინარესაც—წეიდონს, რომლის სათავე ამ სკორეშია და რომელიც ისეთივე ჩქარი და ძლიერია, როგორც სხვა მთის მდინარენი.

5–6 საათის სიარულს შემდეგ, ჩვენ ზედ ყინულზე ავედით, სადაც, სუნთქავთ ცივ ყინვიან ჰაერს და თქვენ უკვე სტკბებით იმ დიდებული, საოცარი სანახაობით, რომელსაც წეის სკორეს ეძახიან და რომელიც ერთი უდიდესი სკორეთაგანია მთელ კავკასიაში—როგორც ამბობენ, სკორე სიგრძით 15 ვერსტამდიაო და სისქით ას საჟენს აწევსო, რაც, ჩვენი ფიქრით, ერთობ გადაჭარბებული უნდა იყოს.

როდესაც ქვემოთ დედამიწაზე სდგეხართ, ეს უზარმაზარი მთა ყინულისა თქვენზე მაინცდამაინც ძლიერ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, გარდა იმისა, რომ მისი სიდიდე გთრგუნავთ, განცვიფრებთ: გვერდები, ზედაპირი ყინულისა კარგა დიდ მანძილზე მთებიდან დაყრილ მიწითა და ქვიშით არის დახურული, რაიც სკორეს მნახველის აფრთოვანებას, ცოტა არ იყოს, ფრთებსა კვეცს. მაგრამ საკმარისია ასიოდე საჟენი თვით ყინულზე გაიაროთ და თქვენ სულ სხვა სურათი გადაგეშლებათ... ხედავთ ზღვას, ზღვას აზვირთებულს, რომლის ძლიერი ტალღები, თითქო საზარელ შიშისაგან ძალდა-ნაცემნი, ერთ პოზაში გაშეშებულ-გაყინულა. თქვენში ეს სანახაობა რაღაც უცნაურ გრძნობას იწვევს—ეს არც თუ შიშია, არც მორჩილება მრისხანე ბუნებისადმი. ფრანგები გლეტჩერს „ყინულთა ზღვას" ეძახიან, და ჩვენც სწორეთ ეს ზღვა ვნახეთ, მეტათ ღრმა, დიდი, რომლის თავსა და ბოლოს თვალი ვერ უწვდებოდა... აი, ეს არის, თუ გნებავთ მუდმივ ყინულთა ქვეყანა, რომელიც მთელი საუკუნოებით, ათასი წლობით ძევს უძრავად, უცვლელათ, ქვეყანა, სადაც არავითარი სულდგმულის ჭაჭანება არ არის. ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა, ხოლო სკორეს ზედაპირიდან გადმომჩქეფარე მრავალ ნაკადულთა ჩხრიალი და დროგამოშვებით დამდნარ ადგილებიდან წამოსულ ქვათა ჭეჭა-გუგუნი თუ არღვევს მას, თვარა სხვაფრივ სიცოცხლის რაიმე ნიშან-კვალს აქ ვერ ამჩნევთ. შუადღისას, ამ ყინულთა სამეფოში არც თუ მაინცდამაინც ციოდა. ჰაერი სუფთა, გამჭვირვალე, სუნთქვა თავისუფალი. ყინულებში აქა-იქ დიდი ნაპრალებია. ნაპრალები კი არა, ეს მთელი ჯურღმულებია, რომელთაც ძირი არ უჩანს და მზის სხივი არა სწვდება. ვინც ამ ჯურღმულში, რაიმე უბედური შემთხვევით, მოხდება, ის დღის სინათლეს ველარ იხილავს. დიდი სიფრთხილე მართებს ამიტომ ყოველს. ვინც სკორეს გარდიგარდმო, დაწვრილებით ათვალიერებს. ყინულს ზოგგან ნახა-მომწვანო ფერი დაჰკრავს, ნამეტურ იქ, სადაც ბუნებრივი მღვიმეები გაჩენილა.

უცქერი ყოველ ამას და სწორეთ აქ გრძნობ, რომ ამ დიდებულ-მრისხანე ბუნებასთან ადამიანი არარა არის, აქ რწმუნდები მეტჯერ, რომ ადამიანის ყოვლად ძლიერ, მაღალ გონებას და დაუღალავ შრომას ბუნებაში უძლეველი კიდევ ბევრი დარჩენია.

პირადათ მე წეის სკორეს სილამაზემ ვერ მომხიბლა. უფრო მეტი შთაბეჭდილება ამ მხრივ იქონია ჩემზე ერთმა სურათმა, რომელიც ჩემ ხსოვნიდან არას დროს არ გაქრება. ეს ის სურათია, რომელიც თქვენ წინ დიდებულათ იშლება მიმავალ გზაზე, წეის სკორედან ოთხი ვერსის მოშორებით, როდესაც უახლოვდებით ერთ უდიდეს წმიდათა-წმიდას ოსებისას—პატარა ნიშას, რომელსაც ეს უკანასკნელნი წმიდანის სახელს „რექომალ" უწოდებენ. აქ ბუნება ველური, ადამიანისაგან ხელუხლებელი, დიახ იშვიათი, საუცხოვო, მაცდუნებელი სილამაზისაა! რომ უცქერი თვალს ვერ აშორებ თავი რაღაც ფანტასტიურ ზღაპრის სამფლობელოში, ცას იქით სამეფოში და არა ცოდვილ დედამიწაზე გგონიათ. აქეთ-იქით მოწმენდილ ცას კაბადონებზე მეტად მოხდენილი, თვალწარმტაცი, თოვლ-ყინულით, თითქო ხელოვნურათ დასერილი, ორი მწვერვალი—ელბათხოხი და სხასწითი—, შუაში, თითქო ორ ძლიერ მოცილეთა ჩამდგარი, დარაჯი, მაღალი მოლურჯისფერო სალი კლდე, წინ სურნელოვანი ნაძვნარი, ცხოველ მყოფელი მზის სხივებით გაშუქებული აი, ის გრძნეული დეკორაცია, რომელიც ბუნებას აქ დაუდგამს, რათა აქაც მას, მძლეთა-მძლეს, ადამიანისათვის თავისი უპირატესობა ცხადეყო...

ამ შთაბეჭდილებებით დავბრუნდით შინ აღტაცებულნი, კმაყოფილნი, სულით და სხეულით შეშვებულნი...

გრ. გველესიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულია:
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ბორჯომის წყალი

	თავის ჭურჭლით.		
	1 ბოთლი	10 ბოთ.	ყუთი (
1/2	25 კ.	2 მ. 40 კ.	11 მ. 50
1/2	16½ კ.	1 მ. 60 კ.	15 მ. 75
ნარზანი და ესენტუკი № 20 1/2	14½ კ.	1 მ. 40 კ.	13 მ. 50

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის
ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზ

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები,
ტაგზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის
ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშა.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.

უცხოეთი.

საბერძნეთი და სახელმწიფოები. ევროპის სახელმწიფოთა შორის საბერძნეთმა დიდი სახელი მოიპოვა. სამი სახელმწიფოს კავშირს და სამი სახელმწიფოს შეთანხმებას საბერძნეთი მიაჩნია ძალათ, რომელიც შეიძლება თავის პოლიტიკის განხორციელებისთვის გამოიყენონ. საფრანგეთი იცავს საბერძნეთის ინტერესს და ბულგარეთისა და იტალიის წინააღმდეგია. ბუქარესტში მოლაპარაკების დროს გერმანიასაც საბერძნეთის მხარე ეჭირა. საბერძნეთის მეფე ბერლინს მივიდა და ამის გამო გერმანიის პრესაში ბევრი წერილი დაისტამბა. გერმანიის ერთი გაზეთი სწერს: ოფიციალურათ ირწმუნებიან, ვითომ საბერძნეთის მეფის მოსვლას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ქონდეს, მაგრამ ეს ტყუილია. დიდი ხნის სურვილია—გერმანიასთან მეგობრული დამოკიდებულება ქონდეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება და მალე შეერთდება.

სესხი. ავსტრიისა და უნგრეთის ბანკის წარმომადგენლებს ვენაში კონფერენცია ქონდათ იმის შესახებ მისცენ თუ არა ბულგარეთს სესხი. ბულგარეთი ხსენებული ბანკებისაგან სესხის სახით ავანსათ 30 მილიონ ფრანკს თხოულობს. ავსტრო უნგრეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს სასურველად მიაჩნია სესხის მიცემა ხოლო ფინანსის მინისტრი კი წინააღმდეგია...

ქვემო იმერეთი.

ს. ამაღლება. გული სევდით მევსება, როდესაც სოფელ ამაღლებაში გავივლი და მის მიდამოებს გადავხედავ. ნათლად წამომიდგება თვალწინ ის ნეტარი დრო, როდესაც ამ სოფელში მასწავლებელთა და მოწაფეთა გუნდი იშლებოდა; წარმომიდგება, როდესაც მრავალი მთხოვნელი სასწავლებლის კარებს აწყდებოდა იმ განზრახვით, რომ მის კედლებში ბავში მოეთავსებია. აქ აღარ არსებობს ორკლასიანი სამასწავლებლო სასწავლებელი, რომელმაც არა ერთ ახალგაზდას აჩვენა გზა ხსნისა და ჭეშმარიტებისა მთავრობის განკარგულებით ის სხვაგან გადაიტანეს და ზემოხსენებული სოფელი უსასწავლებლოთ დარჩა. რა უნდა ქნას დღეს სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობამ, როდესაც მას არ ძალუძს ბავში ქალაქის სასწავლებელში მისცეს? რა უნდა ქნას მატერიალურის მხრით უკიდურეს მდგომარეობაში მყოფმა მუშა გლეხმა, რომელსაც სურს თვის შვილს ცოტა რამ მაინც ასწავლოს? როდესაც ამ სოფლის საზოგადოებას სხვა სასწავლებლის დაარსების შესახებ მსჯელობა ქონდა, ზოგიერთმა პირმა სრული უარი განაცხადა. და ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ხალხი ძალიან შეშინებულია, რადგანაც მას არა ერთხელ გაუფლანგეს საზოგადო საქმისთვის გადადებული ფული.

Jratus

რედაკ.-გამომცემელი **გრ. ერ. ჭელიძე.**

ამ შემოდგომაზე ჭურებისთვის დაგჭირდებათ
საუკეთესო ცემენტი,
რომელიც შეგიძლიათ იშოვოთ მხოლოდ
ძმ. ე და პ. სააკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი. იქვე იყიდება: სახლის საღებავი მასალები, შპალიერი, კარისა და სარკმლის მოწყობილება და სხვა მრავალი საქონელი.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**
საბუღალტრო კურსები
ნ. ვ. აბრაამიანისა
(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს" და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე სწავლა 4 თვე გაგძელდება.**

მეცადინობა დაიწყება 15 სექტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოთ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერის, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურათ იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრების უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს „სჩოტებზე" და კალიგრაფიას, არა სავალდებულოთ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანაზებეჭდვას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულათ და თეორიულათ მომზადებულნი.

ატესტატები სამინისტროს ნებართვით სუსტათ მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებით მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისთვისა და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდი. და საღამოს 5—7 საათამდი.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულათ და პრაქტიკულათ მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვადასხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.

პირადათ და წერილობით მომართეთ კურსების დამაარსებელს თფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744.

ფორტეპიანის
მოხელე და სპეციალური მომწყობი
პიანინოსა და როიალის.
ცოტა ხანს დაყოფს ქუთაისში გზათ.
თფილისიდან საზღვარგარეთ.
მისამართი: სასტუმრო „ფრანცია" ტელეფონი № 103. ნახვა შეიძლება (1—1½) პირველიდან ორის ნახევრამდი. სამუშაოს მიღება შეიძლება 1 ეკენისთვემდი.

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.
„პატოკსან".

„პატოკსან" შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.

„პატოკსან" საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).

„პატოკსან" ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,

„პატოკსან" ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.

„პატოკსან" თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.

ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ."** თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში".

რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის.

თფილისს:	სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.
ბათომს:	სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
ფოთს:	საავარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.
შორაპანს:	საავარ. 4 ს. 57 წ. დღ.
ტყიბულს:	სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 45 წ. დღ.

ქუთაისს მოდის.

თფილისიდან:	სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 2 საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. ს სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
ბათომიდგან:	ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 1 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; 7 საათ. დილ-
ფოთიდან:	საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.
შორაპნიდან:	საავ. 9 ს. 31 წ. დილ.
ტყიბულიდან:	სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. საათ. 9 წ. დილ.

ქ. ქუთაისში (სობოროსთან
ა. თაბაგარის მაღაზიაში
20 ივლისიდან დანიშნულია
დიდი იაფი ვაჭრობა
ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშინ
გრამაფონები და მათი მოწყობილობა.
●●⌑ ფასები ძლიერ დაკლებულია ⌑●●

ხრესილი.

სამკურნალო
აბანო
ძვირფასი მთის ჰაერზე
ძმ. ყორყოლაძეების

[illegible] იხილეთ და
[illegible]

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თბილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

გ. გორდაძის და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლ
უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ მალცევის ბემსკის მ
ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКО
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.